



სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

## **თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები**

განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე 29.11.2017, ოქმი №3

დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 11.12.2017, ოქმი #1

### **I თავი**

#### **ზოგადი სისტემა**

1. თეორიული სასწავლო კურსი გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩართული იქნება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებულად ჩააბარებს, როგორც შუალედურ, ისე ფინალურ გამოცდას. ორივე სახის გამოცდის (შუალედური, ფინალური/დასკვნითი) გამოცდის ჩაბარება აუცილებელია. ფინალურ გამოცდაზე არ დაიშვება ის სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასების მიხედვით (დასწრება-აქტივობა, შუასემესტრული გამოცდა და ა.შ.), მთლიანობაში არ აქვს მინიმუმ 21 ქულა. ქულათა პროცენტული გადანაწილება შემდეგია: შუალედური შეფასება - 60%, ფინალური გამოცდა - 40%.
2. ფინალური გამოცდის დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მინიმუმ 50%-ს (რაც უდრის არანაკლებ 20 ქულას).
3. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიითი გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდები (ტესტი, დასწავლილი მასალის თხრობა, რეფერატი/საკურსო და ა. შ.). პედაგოგი ლექციაზე წინასწარ აცნობებს სტუდენტებს ყოველი გამოკითხვის მეთოდს.
4. სტუდენტი ფასდება (შუალედური და ფინალური გამოცდები, დავალებები, ჯგუფში მუშაობა და ა.შ.) შემდეგი ძირითადი **კრიტერიუმებით** (დაწვრილებით გაწერილია II თავში):

- მასალის გადმოცემა გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით (ქულათა საერთო რაოდენობის 20%).
  - მასალის ცოდნის სიღრმე, პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა (ქულათა საერთო რაოდენობის 40%)
  - სავალდებულო ლიტერატურის ათვისება და მასალის ანალიტიკური გააზრება (ქულათა საერთო რაოდენობის 40%)
5. **რეფერატი/საკურსო** - კვლევითი ხასიათის მოკლე წერითი ნაშრომი, რომელიც შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან სტუდენტების ჯგუფის მიერ. მუშაობის ძირითადი დანიშნულებაა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მასალის მოძიება, მცირე კვლევის ჩატარება და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვისა და დასკვნების ჩამოყალიბება. რეფერატი/საკურსო ფასდება ორ ეტაპად: შინაარსობრივი მხარე (ქულათა საერთო რაოდენობის 60%) და პრეზენტაცია (ქულათა საერთო რაოდენობის 40%).

ა) შინაარსობრივი მხარე ფასდება ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

ბ) პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: მოწოდებული მასალის ვიზუალური მხარე, პრეზენტატორის მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა და დისკუსიის უნარი (დაწვრილებით გაწერილია II თავში).

6. **დასწრება-აქტივობაში** მაქსიმალური სემესტრული შეფასებაა 15 ქულა. სტუდენტი ფასდება საკონტაქტო საათების დროს გამოჩენილი აქტივობის მიხედვით - დისკუსიაში მონაწილეობა, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობა და სხვა შესაძლო აქტივობები. ამ შემთხვევაში შეფასების ძირითადი კრიტერიუმია აზრის მკაფიოდ და ლოგიკურად ფორმულირების და გადმოცემის უნარი.

7. სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება “FX”-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში, ერთჯერადად ეძლევა შესაბამის დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება; იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დამატებით გამოცდას ვერ ჩააბარებს, სტუდენტს უფორმდება 0 ქულა.

## II თავი

### შეფასების კრიტერიუმები

#### 1. სემინარი, ჯგუფში მუშაობა, დავალებები და ა. შ. (სულ 25 ქულა - 5X5)

5 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში და სისტემატურად, ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის მასალას, ტერმინოლოგიას, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი მაღალია; ამჟღავნებს

სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, ანალიტიკურ გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით.

4,5 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში და სისტემატურად, ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის მასალას და ტერმინოლოგიას, აქვს უმნიშვნელო ხარვეზები, არსებითი შეცდომების გარეშე. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი მაღალია; ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, კარგად გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით.

4 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა მცირეოდენი ხარვეზებით, არსებითი შეცდომების გარეშე, ტერმინოლოგიაში უშვებს მცირე უზუსტობებს. ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით.

3,5 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზებით, არსებითი შეცდომების გარეშე, ტერმინები ძირითადად გამართულია, თუმცა ზოგჯერ არაზუსტი. ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას. ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის აქტიური, თანამშრომლობს სხვებთან.

3 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზებით, უშვებს ზოგჯერ არსებით შეცდომებს. ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის გაცნობას, ტერმინებში აქვს უზუსტობები. ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის ნაკლებად აქტიური.

2,5 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, ხშირად უშვებს არსებით შეცდომებს. ტერმინებს იშვიათად მოიხმობს. ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის ნაკლებად აქტიური

2 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ასრულებს დავალების არანაკლებ ნახევარს. ტერმინებს თითქმის არ იყენებს. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულია, ნაკლებად აქტიურობს.

1,5 ქ - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ასრულებს დავალებებს ნაწილობრივ. ტერმინებს არ იყენებს. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი დაბალია, ნაკლებად აქტიურობს.

1 ქ - სტუდენტი დავალებებს ვერ წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ამჟღავნებს დავალების ნაწილობრივ, ზედაპირულ ცოდნას რამდენიმე არსებითი შეცდომით, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია.

0 ქ - სტუდენტი საერთოდ არ ჩართულა ჯგუფში მუშაობის დროს. ძირითადად შემოიფარგლება დაკვირვებით.

## 2. წერიტი ნაშრომის შეფასება (რეფერატი, საკურსო და ა.შ.)

*(ქულათა საერთო რაოდენობის გადანაწილება:*

*შინაარსობრივი ნაწილი - 60%, პრეზენტაცია - 40%)*

წერიტი ნაშრომის/დავალების/რეფერატისთვის განკუთვნილი ქულათა ზუსტი რაოდენობა არა არის საყოველთაო ყველა თეორიული საგნისთვის და ლექტორი თავად ანაწილებს ქულათა რაოდენობას და გაწერს შესაბამისი საგნის სილაბუსში.

*ა) შინაარსობრივი ნაწილის შეფასების კრიტერიუმებია:*

91-100% - პასუხი სრულია. საკითხი გადმოცემულია ლოგიკურად, დასკვნებით. ჩანს პრობლემური საკითხის ღრმა ცოდნა, პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მასალას ანალიტიკურად იაზრებს, გადმოსცემს საკუთარ ხედვას. შეცდომა არ არის. წერს გამართული ქართულით, წერის კულტურა მაღალ დონეზეა.

81-91% - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. საკითხი გადმოცემულია ლოგიკურად, დასკვნებით. ჩანს პრობლემური საკითხის კარგი ცოდნა, ტერმინოლოგიურად გამართულია. სტუდენტი კარგად ფლობს მასალას, საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მასალა, ჩანს ანალიტიკური გააზრება, ცდილობს გადმოსცეს საკუთარი ხედვა. არსებითი შეცდომა არ არის. წერს გამართული ქართულით, წერის კულტურა მაღალიან კარგია.

71-81% - პასუხი არასრულია. საკითხი გადმოცემულია ნაკლებ თანმიმდევრულად, თუმცა გარკვეული დასკვნებით. ჩანს პრობლემური საკითხის ცოდნა. შესაბამისი ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. არის ფრაგმენტული წერის, ლოგიკურ-ანალიტიკური მსჯელობა. წერის კულტურა დასახვეწია.

61-71% - პასუხი არასრულია. პროფესიული ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

41-61% - პასუხი ნაკლოვანია. პროფესიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 % - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. წერის კულტურა სუსტია.

*ბ) პრეზენტაციის ნაწილის შეფასების კრიტერიუმებია:*

81-100% - მოწოდებული მასალის ვიზუალურ მხარე ზედმიწევნით კარგად - ყველა შესაბამისი ილუსტრაციით, ტექსტით არის წარმოდგენილი, პრეზენტატორის მეტყველება ლოგიკური და დამაჯერებელია. ამჟღავნებს დისკუსიის ძალიან კარგ/კარგ უნარს. მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით, არის ლოგიკური კავშირი საკითხთან. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას.

61-81% - მოწოდებული მასალის ვიზუალურ მხარე კარგია - არის ძირითადი ილუსტრაციები, პრეზენტატორის მეტყველება გამართულია, ამჟღავნებს დისკუსიის უნარს. მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს დასკვნები, აქვს საკუთარი მოსაზრებები, რომელთა გამყარებას ფაქტებით ცდილობს. თუმცა აქვს მეტ-ნაკლებად მცირე ხარვეზები, კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას.

41- 61% - მოწოდებული მასალის ვიზუალურ მხარე დამაკმაყოფილებელია: ილუსტრაციები ნაკლებადაა, ტექსტიც ნაკლებლოგიკურად არის წარმოდგენილი, პრეზენტატორის მეტყველება კარგია, თუმცა ზოგჯერ ბოლომდე გაუმართავი. ამჟღავნებს დისკუსიის უნარს, თუმც ამჟღავნებს დაბნეულობას და არათანმიმდევრულობას. არის კორექტული სხვისი აზრის მიმართ.

0-41% - არ არის წარმოდგენილი/ცუდადაა წარმოდგენილი ვიზუალური მასალა. მეტყველება გაუმართავია. დისკუსიაში ნაკლებად/არ შედის.

პლაგიატი:

**წერით ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი ფასდება 0 ქულით.**

### **3. შუალედური გამოცდა (20 ქულა)**

შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

1. **19-20 ქულა:** საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.
2. **16-18 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომა არ არის, ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა.

3. **13-15 ქულა:** პასუხი აჩვენებს, რომ დოქტორანტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა არის ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები. იცნობს ძირითად ლიტერატურას.
4. **9-12 ქულა:** პასუხი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას, პასუხი ბოლომდე არაა სრულყოფილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. ტერმინოლოგია ნაკლოვანია, გადმოცემა არათანმიმდევრული.
5. **5-8 ქულა :** პასუხი ავლენს საკითხში გარკვევს თუმცა პასუხი ნაკლოვანია, ფიქსირება შეცომა, გადმოცემა არათანმიმდევრული.
6. **0-4 ქულა:** არადამაკმაყოფილებელი პასუხი, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს, არ იცნობს ლიტერატურას.

#### 4. დასკვნითი გამოცდა

დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

1. **36-40 ქულა:** საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.
2. **31-35 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომა არ არის, ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა.
3. **25-30 ქულა:** პასუხი აჩვენებს, რომ დოქტორანტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა არის ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები. იცნობს ძირითად ლიტერატურას.
4. **19-24 ქულა:** პასუხი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას, პასუხი ბოლომდე არაა სრულყოფილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. ტერმინოლოგია ნაკლოვანია, გადმოცემა არათანმიმდევრული.
5. **11-18 ქულა:** პასუხი ავლენს საკითხში გარკვევას, თუმცა პასუხი ნაკლოვანია, ფიქსირდება შეცდომები, გადმოცემა არათანმიმდევრულია.
6. **0-10 ქულა:** არადამაკმაყოფილებელი პასუხი, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს, არ იცნობს ლიტერატურას.

#### 5. დისკუსია

6. 81-100% - სისტემატურად მონაწილეობს და ხშირად თავადაც წარმართავს დისკუსიას; მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით, არის ლოგიკური კავშირი საკითხთან, გამართულად მეტყველებს, ადეკვატურად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალთ, ჟესტებით, ხმით), ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს, კორექტულია ოპონენტის მიმართ, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.
7. 61-81% - ყოველთვის მონაწილეობს დისკუსიაში, გასაგებად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, გამართულად მეტყველებს. შეუძლია ხშირად დაამყაროს არავერბალური კონტაქტი, უსმენს სხვებს და ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.
8. 41- 61% - ხშირად მონაწილეობს დისკუსიაში, ახერხებს საკუთარი აზრის მეტ-ნაკლებად დასაბუთებას, ფაქტებისა და ლოგიკური მსჯელობის გარეშე, იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, იშვიათად უსმენს სხვებს და ხშირად ერთვება სხვის საუბარში, ყოველთვის არ იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.
9. 0-41% - ზოგჯერ მონაწილეობს დისკუსიაში, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს, არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, არ იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს, არ იცავს დისკუსიის წესებს, არ უსმენს სხვებს და არ აძლევს მათ საუბრის საშუალებას.
10. 1-2 ქულა - იშვიათად მონაწილეობს დისკუსიაში, უჭირს გამართულად საუბარი.
11. 0 ქულა - საერთოდ არ მონაწილეობს დისკუსიაში.

## 7. შეფასების ჯამური მაჩვენებელი და დადებითი და უარყოფითი შეფასებები

მთლიანობაში კურსის გავლა და კრედიტის აღება უკავშირდება ყველა აქტივობით ხუთი სახის დადებითი შეფასებიდან ერთ-ერთის მიღებას.

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ა.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება თუ იგი აგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%-ს (20ქულა) და მეტს.

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ა.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.